ჩემპიონატი

თბილისის “დინამოს” ბრწყინვალე გამარჯვება

6 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა **კიევისა და თბილისის “დინამოს”** სანიმუშო გუნდების კალენდარული მატჩი ფეხბურთში.

თამაში თბილისის დინამოელთა მწყობრი იერიშებით იწყება, სტუმართა კარის წინ ხშირია კრიტიკული მომენტები, მაგრამ უშედეგო – ძლიერად დარტყმული ბურთი მიზანს ვერ ხვდება. მე–10 წუთზე ხელსაყრელი მომენტით სარგებლობს პაიჭაძე, უსხლტება დამცველთა მარჯვენა ფრთას და ანგარიშიც იხსნება – 1:0.

კიეველთა ცდა გაეთანაბრებინათ ანგარიში მიზანს ვერ აღწევს. მათი ნახევარდამცველთა სამეული, რომელსაც მთავარი როლი უნდა ეთამაშა ამ საპასუხისმგებლო მატჩში მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდა თავდამსხმელებისაგან. მე–15 წუთზე სტუმართა კარის ბადეში მე–2 ბურთი ეხვევა, ხოლო მე–10 წუთზე ამავე კარში პაიჭაძის მიერ ოსტატურად გატანილი ბურთი მაყურებელთა ერთსულოვან ტაშს იწვევს.

ტაიმი მთავრდება თბილისელთა სასარგებლოდ – 3:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ისტორია მეორდება. სტუმრები ვერ ერკვევიან თბილისელთა თამაშის ტაქტიკაში და დაბნეულობას ამჟღავნებენ. ტაიმის დამთავრებამდის თბილისელებმა (პაიჭაძე, ხარბედია, ჯეჯელავა) შესძლეს 3 ბურთის, ხოლო სტუმრებმა ერთადერთი ბურთის გატანა.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” ბრწყინვალე გამარჯვებით – 6:1.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 7 სექტემბერი, 1940 წ.